საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 6

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

06 ივნისი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; ამირან ვერულაშვილი; რუსუდან კოვძირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;

მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოებისა და სამუშაოს აღწერილობათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებიდან გამომდინარე შესასრულებელი დავალებები რთული და მრავალფეროვანია. ასევე მოგეხსენებათ, რომ კანონით დასაშვებია მხოლოდ ვაკანტური პოზიციის კორექტირება, შესაბამისად მოცემული დროისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენლებაში და სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილებაში არსებული ვაკანტური მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიცია დაკორექტირდეს, გარდაიქმნას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად და გადატანილი იქნას ზედამხედველობის სამსახურში, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციას, აღნიშნული დაკორექტირდეს და გარდაიქმნას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: